წელიწადი მეხუთე    სამშაბათი, 17 თიბათვე 1919 წ.    № 123    ფასი 2 მან.

# საქართველო

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 120 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 40 მან ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მან. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მან. მისამართის გამოცვლა 10 მან. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი: — თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

კნეინა სოფიო გიორგის ასული კონსტანტინე დავითის ძე ჩოლოყაშვილები ნინო დავითის ასული და ლევან იასონის ძე გარსიაშვილები, ელისაბედ დავითის ასული და ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ამა წლის 12 ივნისს ვერაგულად მოჰკლეს სოფელ ბაკურციხეში

ალექსანდრე პეტრეს ძე
სარაჯიშვილი

პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში 17 ივნისს სალამოს 7 საათზედ დაკრძალვა ვერის წმიდა ნიკოლოზის სასაფლაოზედ ოთხშაბათს 18 ივნისს

(2—2449—1)

გულითადის მწუხარებით ძმანი: მიხეილ, სოლომონ, აპოლონ, თომა, ანდრო, ვანო, გიორგი და ილიკო სარაჯიშვილები ცოლშვილებით და და სოფიო ყიფიანისა თავის ქმრით, გიორგი ყიფიანით აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 17 ამა ივნისს, სამშაბათს, სალამოს 7 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის მათი საყვარელი და დაუვიწყარი ძმის

ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად, ხოლო ოთხშაბათს, 18 ივნისს, იქვე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რომლის შემდეგაც ცხედარს დაასაფლავებენ ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში.

2—2448—1

უებრო! — მოიკითხეთ — უებრო!
საუკეთესო ხარისხის
კონიაკი
ძმ. კაიშაურებისა

მისამართი: ელისაბედის ქ., 116, ტელ. 9—77.

12—244—1

იბეჭდება:

**თაგუნა**

წიგნი I

## „პროლეტარულ კონფერენციის“ მოლოდინში!

ამიერკავკასიის მუშათა ორგანიზაციების ყრილობის მოწვევა თბილისში დღევანდელ გარდამავალ ხანაში დიდ პოლიტიკურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა მხოლოდ შეასუსტებს საქართველო-აზერბაიჯანის მილიტარულ ძალას, რადგან არსად გაგონილა ჯერ, რომ დაუმთავრებელ ლაყბობას და გრძელ რეზოლიუციებს სამხედრო კამპანია მოეგოთ. მუშების კონფერენციაზე ძლიერად წარმოდგენილი იქნება ბაქოს პროლეტარიატი—ბოლშევიკური თავის სულისკვეთებით, უარისმყოფელი ამიერკავკასიის ყველა სახელმწიფოებისა და უსაზღვრო მოტრფიალე დიდი რუსეთის აღდგენისა ჯერჯერობით საბჭოთა ხელმძღვანელობით.

ქართველი სოციალ-დემოკრატები პირველად უექველი თანაგრძნობით შეჰხვდნენ ბაქოს მუშების წინადადებას შესახებ საერთო რევოლუციურ ფრონტის აღდგენისა, მაგრამ შემდგომ მოიფიქრეს, რომ მათ მიზანს მთლიანი ფრონტის განახლების გარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაც შეადგენს ასე თუ ისე და შეეკითხნენ ბაქოელ ამხანაგებს, რა აზრის არიან ისინი საქართველოს დამოუკიდებლობისა და მთავრობაზე... ბაქოს ბოლშევიკურ პროლეტარიატს ჯერ, მგონი, პასუხი არ შემოუთვლიათ თბილისის მუშათა საბჭოსათვის, ხოლო პასუხს შეკითხვაზე იძლევიან თბილისის მოლშევიკების გაზეთები „სოციალ დემოკრატ“-ის მეთაურობით. „ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების ორგანიზაციულ კომიტეტის ორგანო“ მოუთმენლად მოელის „აქტიურ რევოლუციურ გამოსვლების ხელმძღვანელ ბაქოს პროლეტარიატის“ ლიდერების თბილისში ჩამოსვლას. „დენიკინთან ბრძოლის“ ლოზუნგით განსაზღვრა მუშათა კონფერენციისა ამ გაზეთის მწერლებს კმაყოფილად არ მიაჩნიათ, რადგანაც ეს არის მხოლოდ „ვიწრო მიზანი თავთავიანთ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის“, პროლეტარიატი კი აწარმოებს „ბრძოლას საერთო მტრის მსოფლიო იმპერიალიზმის წინამდეგ საერთო მიზნის—სოციალიზმის დასამყარებლად“ და სწორედ ეს დაუსახავს უახლოეს მიზნად ბაქოს პროლეტარიატს. „სოციალ - დემოკრატ“-ის პუბლიცისტები შეშინებული არიან კიდევ ერთი გარემოებით: მათ კარგად მოეხსენებათ, რომ თუ დენიკინის ჯარმა გადმოლახა აზერბაიჯანის საზღვრები, აზერბაიჯანისა და საქართველოს შეიარაღებული ძალა მას სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს და ქართულ მხედრობას, როგორც უფრო მომზადებულს და გაწვრთვნილს, უპირატესობა მიენიჭება. რუს სოციალ-დემოკრატებს ეს საქართველოს ჰეგემონიად ელანდებათ! საქართველოს ხელმძღვანელობისა და ჰეგემონიის უფლება არა აქვს ამიერ-კავკასიაში, სწერს გაზეთი, „საქართველოს მთავრობა ხომ აღმასრულებელი ორგანოა ჯერ საქართველოს ეროვნულ საბჭოისა და ეხლა კი დამფუძნებელ კრებისაც, რომელსაც არავითარი რევოლუციური ღვაწლი არ მიუძღვის და მხოლოდ საქართველოს ნაციონალურ ინტერესებზე ზრუნავს.

ხომ ცხადია, საით იხრება მოლშევიკე გაზეთის დასკვნა: ერთის მხრივ წარმოდგენილია „საერთო მიზნის“ გამომსახველი და მისი მებაირახტრე ბაქოს პროლეტარიატი, ხოლო მეორე მხარეს სდგას, საქართველოს დამოუკიდებლობის ამ „მცირე მიზნის“ მოთაყვანებელი საქართველოს მმართველობა და, რასაკვირველია, დენიკინის ბრბოებთან ბრძოლაშიც და შემდგომაც ყოველივე უპირატესობა მის ხელთ უნდა დარჩეს, ვინც უარსაჰყოფს ნაციონალისტურ საქართველოს სახელმწიფოებრიობას და საბჭოთა რუსეთში გათქვეფით გზას იკაფავს „საერთო მიზნისათვის“.

თუ ბაქოს პროლეტარიატის თბილისელი მაჩანჩალა აგენტები ასე მოურიდებლად ებრძვიან განთავისუფლებულ საქართველოს და მისი დამოუკიდებლობის მოსპობა დღიურ საკითხად მიუჩნევიათ, რაღა ითქმის „საერთო მიზნისათვის ბრძოლაში გამობრძმედილ“ ბაქოს მუშათა კლასზე, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის შეურიგებელი მტერი იმ თავითვე იყო?!

ერთი კვირის შემდეგ ჩვენს დედაქალაქში იკრიბება საქართველოს სამხედრო ძლიერების ერთი შემსუსტებელ ფაქტორთაგანი, ამიტომ არის, რომ ყველა საქართველოს მოწინააღმდეგე და მტერი დაუფარავი სიამით აღნიშნავს პროლეტარიატის კონფერენციის შეკრების ამბავს!

არა გვგონია, მოხალისე არმიის სარდალი ქმუნვით შეჰხვდეს ამ გარემოებას! იქნებ, კიდევაც ამ ახალი ყაიდის „სამხედრო თათბირს“ ელის დარუბანდში დაბანაკებული გენერალი, რომ თავს დაატყდეს ორივე სახელმწიფოს სწორედ იმ დროს, როდესაც „პროლეტარული პარლამენტი“ „საერთო მიზნისაკენ“ მიმაახლოვებელ გზების ძიებას შეუდგება და ამის საშუალებათ „შავი გენერლის“ მოქნეულ მახვილსაც გამოიყენებს...

## მიხედეთ ლტოლვილებს!

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ სომეხ-ლტოლვილებზედ ვლაპარაკობ.

არა! იმათ საკმაოთ ჰყავთ მზრუნველები: არც მშობელ სომხობას და არც საქართველოს მთავრობას არ დაუკლიათ მათთვის დახმარება.

და როდესაც ეს ლტოლვილი სომხობა საქართველოს ტერიტორიაზედ ბინას და სურსათს ჰპოულობს და მთელი რიგი დაწესებულებათა და მთავრობის რწმუნებულთა მიჩნეულია მათთვის საზრუნავად, ქართველი ლტოლვილები საქართველოში მიწისა და ცის ანაზარა არიან მიტოვებულნი.

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ იანვარში ალაგირიდან თბილისში გადმოიხვეწა ოსებისა და დენიკინისაგან აწიოკებული 3 ათასამდე ქართველობა.

სასწრაფოთ და აუწერელი გაჭირვებით მიატოვეს დიდი ხნის შრომით დაგროვილი დოვლათი საკუთარი მეცადინეობით მოწყობილი სახლ-კარი და გამოეშურენ თავის სამშობლოსკენ.

იმ განზრახვით, რომ მშობელი საქართველო მიიღებდა თავის კალთებში გასაჭირში მყოფ შვილებს და მთავრობა მისცემდა მათ საშუალებას გამოეყენებიათ მათი შრომა საკუთარ სამშობლოში.

იმედი გაუცრუვდათ;

მართალია ლტოლვილები მიიღეს თბილისში და დააბინავეს ორთაჭალასა და საბურთალოში, მაგრამ ისეთი პირობები შეუქმნეს ცხოვრებისათვის, რომ ლტოლვილებს სატუსაღო მონატრებოდათ.

დააბინავეს თითო ოთახში 30 სული და თითოს გირვანქა პური დაუნიშნეს დღეში; შემდეგ ამ პურის ნორმა სამიმეოთხედი გირვანქამდე შემცირდა და ბოლოს სრულებით მოისპო.

მშიერსა და ცუდ ჰიგიენურ პირობებში მყოფ ხალხს ადვილათ მოჰკიდა ხელი სახადმა და დღეს იმათგან, ვინც ალაგირიდან თბილის მოაღწია ნახევარიც ცოცხალი აღარ არის.

ერთად ერთი ხსნა, რომელსაც მთავრობამ ლტოლვილებში გაგრეცა ლებულ სახადთან ბრძოლაში მიმართა გამოიხატა იმაში, რომ გაუხსნეს პატარა საავადმყოფო და დაუნიშნეს ექიმი:

სომეხი მანთაშევი.

უნდა განგებ გამოეგონათ საშუალება ქართულ გულ-თბილობას მოწყურებულ ხალხის შეურაცხყოფისათვის, რომ სომეხი მანთაშევი მიეჩინათ ავადმყოფ ლტოლვილთათვის

და იცით, როგორ ისახელა თავი ამ ექიმმა?

მის საავადმყოფოდან გარეთ არ გამოსულა არც ერთი ავადმყოფი და მისი დახმარებით 1000 ქართველ ლტოლვილიდან, ნახევარი უკვე სამარეში განისვენებს. თვით საავადმყოფო აივსო სომხებით და დღესაც ქართველ ლტოლვილებისათვის დაწესებულ სურსათს იღებს ყველა; ქართველების გარდა.

გუშინ ჩვენ შემთხვევით ვნახეთ ეს ლტოლვილები და მათი აუტანელი მდგომარეობა გვაიძულებს მივმართოთ საქართველოს მთავრობას ამ სტრიქონებით.

თვით ლტოლვილთა თხოვნას და მუდარას არავითარი გასავალი არ ჰქონია; მათს ერთი მეორეზედ დაჟინებით მოთხოვნას ლტოლვილთა საქმეების მთავარმა გამგემ ბ-მა ჩიკვაიძემ სრული სიჩუმით უპასუხა, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტოვებთ იმედს, რომ საქართველოს მთავრობა ყურადღებას მიაქცევს როგორც თავის მოხელის დაუდევრობას ისე ლტოლვილთა მძიმე მდგომარეობას და უცხოეთიდან შემოხიზნული ქართველობა, საქართველოში ნამდვილ სამშობლოს ჰპოვებს.

## ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კონფერენციის გადადება

ვინაიდან კონფერენციის განსახილველად ახალი საკითხები აღიძრა და აგრეთვე შორეულ კუთხეების ორგანიზაციები ვერ ასწრებენ 21 ივნისისათვის კონფერენციაზე ჩამოსვლას, მთავარმა კომიტეტმა საჭიროდ დაინახა კონფერენციის გადადება.

კონფერენცია გაიმართება ივლისის პირველ რიცხვებში და წინდაწინვე გამოცხადდება.

## პრესსა

ქუთაისურ გაზეთ „ჩვენ ქვეყანაში“ ალ. თოხაძე სწერს:

„ჩვენი დღევანდელი მთავრობის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ის, ზოგიერთ შემთხვევაში, იძულებული არის აწარმოვოს მისთანა მუშაობა, რომელიც მას არ სწამს, რომელსაც ის მთელი თავის არსებით ეწინააღმდეგება, რასაც თვითონაც არ მალავს და დროგამოშვებით საჯაროთაც აცხადებს ხოლმე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მას თავის ნების წინააღმდეგ მოუხდა; არა ერთხელ გვითქვამს და დაგვიმტკიცებია ურყევი საბუთებით, რომ ისე ადვილად დასცემიბენ ჩვენს ქვეყნის დღევანდელი მესაჭენი ამ დამოუკიდებლობას, როგორც ადვილად და უხალისოდ მიიღეს იგი.

ეროვნულ განცალკევებას და თავისუფლობას იმ თავითვე ებრძოდენ ისინი და, გასაკვირი არ არის, მაშასადამე, თუ ამ თავისუფლებას ისინი არ გაუხდებიან ერთგულ დარაჯად.

არის კიდევ მეორე მხარე, რომელსაც არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს, ეს გახლავთ ჩვენი შინაური ცხოვრების მოწყობის საქმე, ურომლისოთ ერს არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა.

ამ მხრივ სოციალისტური მთავრობის პოლიტიკა, როგორც მოსალოდნელი იყო სრულიად უვარგისი გამოდგა.

ქვეყნის დაწინაურება და აღორძინება, მის ეკონომიურ, ან, როგორც მარქსი იტყოდა, საწარმოვო ძალთა განვითარებაზეა დამოკიდებული.

ამისათვის საჭიროა სათანადო პირობები. „შრომასა და კაპიტალს შორის განსაზღვრული ურთიერთობის არსებობა.

შრომა არ უნდა იჩაგრებოდეს, მაგრამ შესაძლო უნდა იყოს კაპიტალმაც გაშალოს ფრთა.

მხოლოდ ამნაირ პირობებშია მოსალოდნელი გაჩნდეს და დაგროვდეს სიმდიდრე, და აღორძინდეს მხარე, რაც საზოგადოების ყველა შემადგენელ ნაწილისათვის არის ხელსაყრელი და სასარგებლო.

ჩვენი სოციალისტური მთავრობის პოლიტიკა კი მეტათ ცალმხრივია, კლასობრივი.

ისინი მხოლოთ შრომის ინტერესს იცავენ და კაპიტალს ბრძოლას უცხადებენ, ამის შედეგი ის არის, რომ ჩვენში შეწყდა ეკონომიური საქმიანობა; არა თუ შეუძლებელი გახდა რაიმე წარმოების დაწყება, რომლის მიზანია ადგილობრივი ძალებით და საშუალებით ქონების შექმნა, უბრალო ალებ-მიცემობამ და ვაჭრობამაც დაკარგა თავისი პირვანდელი სახე და „კომვოიაჟორული“ ხასიათის ხელობათ გადაიქცა.

თვით შინაური ცხოვრების წესიერათ მოწყობაც ვერ შესძლო კლასობრივ ნიადაგზე მდგომმა დღევანდელმა მთავრობამ. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, ვის ხელში იმყოფება ქვეყნის უზენაესი გამგებლობა? მთელი ხალხის მიერ არჩეულ მთავრობისა თუ წითელი გვარდიის სათავეში მყოფ და მისი ნების აღმასრულებელ შტაბის ხელში? თუ ორთავე ერთნაირი უფლებით არის აღჭურვილი?

ჩვენ ვიცით, რომ ამნაირი მდგომარეობა აუტანელი შეიქნა ქვეყნისათვის და ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ავმაღლებულვართ სახელმწიფოებრივ შემეცნიერებამდე და არ ძალგვიძს შევქნათ ერთი მთლიანი, დაურღვეველი, მტკიცე უფლებრივი პოლიტიკური კავშირი, რომელსაც, იურიდიული მეცნიერება, სახელმწიფოს უწოდებს, ესეც ცალმხრივი თეორიაა და ამ თეორიაზე აგებულ პრაქტიკულ მოქმედების და პოლიტიკის ბრალია.

თუ მთავრობა არის, ის ყველას მთავრობა უნდა იყოს. ის ყველას უნდა შეელოდეს, ერთნაირის მზრუნველობით ეპყრობოდეს ყოველ მოქალაქეს, განურჩევლათ მდგომარეობისა და მიმართულებისა.

ეს არის აუცილებელი პირობა, „სი ნე კვა ნონ“, ნამდვილი, მიუდგომელი, საერთო ინტერესის დაცვის სურვილით გამსჭვალული მთავრობა.

კლასობრივი თვალსაზრისი დღევანდელი მთავრობის არც ჩვენ საგრთაშორისო მდგომარეობისათვის შეიქმნა საბედნიერო და ხელსაყრელი.

ამის მიზეზი ის არის, რომ სოციალისტური მთავრობა ამ შემთხვევაშიაც არ უგდებს ყურს ცხოვრებას და უსიცოცხლო დოგმებს ემყარება.

მთელ თავის იმედს ევროპის პრობლემატიურ, მეტად საეჭვო, სოციალურ რევოლიუციაზე ამყარებს.

ამნაირ მსოფლმხედველობის მიმდევართა ხელშია დღეს ბედი ახლად ბორკილ-ახსნილ ქვეყნის, ჩვენი მრავალ-ტანჯული სამშობლოსი.

რასაკვირველია, ამნაირი მდგომარეობა შეუძლებელია დიდხანს გაგრძელდეს.

დღევანდელი სოციალისტური მთავრობა აუცილებლად ეროვნულ მთავრობათ გარდაიქმნება, ხოლო ჩვენ იმის შიში გვაქვს, რომ ვაი თუ, ამ მეტამორფოზის მოხდენამდე დავკარგოთ ის, რასაც ამდენი ხნის განმავლობაში ესწრაფოდენ ჩვენ ტურფა ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლნი და მისთვის თავდადებულნი მამულიშვილნი.

## დამფუძნებელი კრება

18 თიბათვის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

კრება ღებულობს წინად მიღებულ კანონების საბოლოო ტექსტებს. შემდეგ კრება იხილავს შრომის სამინისტროს კანონპროექტის შესახებ 8 საეკლესიო უქმის მოსპობისა.

მომხსენებელია გ. მახარაძე.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიას კანონ-პროექტში შესწორებანი შეაქვს.

**ალ. ახათიანი.** (ერ.-დემ) ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შესწორება შემდეგს შეიცავს. ჩვენ პრინციპიალურად არავითარი არ გვაქვს საწინააღმდეგო, რომ საზოგადოთ უქმეების რიცხვი შემცირდეს. ხოლო შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ ასე ნაჩქარევად, არითმეტიკულად შემცირებულ იქმნას საეკლესიო უქმების რიცხვი. ეს უქმეები დღეს არ დაწესებულა. ის მრავალ საუკუნეთა მსვლელობაში დამყარდა საქართველოს ეკლესიის მუშაობით. დღეს ეს უქმეები არის ერის უმრავლესობის ზნე და ჩვეულება, მისგან შეთვისებული და შესისხლხორცებული. თქვენ განზრახული გაქვთ ამ უქმეებთან სამი ათორმეტი დღესასწაულიც ამოშალოთ. დამფუძნებელი კრება ამას ვერ ჩაიდენს, მით უმეტეს ეკლესიასთან შეთანხმებულად და სრულიად დაუკითხავად. ამიტომ საეკლესიო უქმეების შემცირების საკითხი უნდა გადაიდვას, სანამ მთავრობა ამის შესახებ ეკლესიას დაეკითხებოდეს და შეუთანხმდებოდეს. ამ უქმეებს ჩვენ მაშინ შევამცირებთ, როდესაც გვეცოდინება, რომელი უქმის ამოღება შეიძლება ისე, რომ ეკლესიის წესი და კანონი არ დაირღვეს. ამ ჟამად კი უქმეების შემცირება უნდა შეეხოს ისეთ დღესასწაულებს, რომელნიც თვითონ ჩვენ შემოვიღეთ ნაჩქარევად და რომელნიც ქართველი ხალხის უმრავლესობისათვის უცნობი არიან. ეს უქმეებია ინტერნაციონალის და რევოლიუციის პირველი დღე. რასაკვირველია—ვისაც ეს დღეები სწამს მათ არავინ დაუშლის რომ იუქმონ ეს დღეები, როგორც ერთი ჯგუფის კლასის დღესასწაული, ხოლო ერისათვის, ხალხის უმრავლესობისათვის არ უნდა იყოს სავალდებულო ისეთი დღესასწაულები, რომელთაც ის იცნობს და არც არასოდეს მიიღებს, ასეთი ზევიდან, ძალდატანებით მოხვევა ერის უმრავლესობისათვის ერთი ჯგუფის, ერთი კლასის უქმის, რასაკვირველია არ იყო დემოკრატიული ღონისძიება და ეს ჩვენ დღეს უნდა გავასწოროთ.

**გ. ნათაძე** (ს. რ.) სოციალისტ-რევოლიუციონერთა სახელით პროტესტს უცხადებს ეროვნულ-დემოკრატებს ინტერნაციონალისა და რუსეთის რევოლიუციის პირველი დღის დღესასწაულობის წინააღმდეგ გამოლაშქრებისათვის.

**ვლ. მგელაძე** (ს.-დ.) სასტიკად ილაშქრებს ეროვნულ-დემოკრატების წინადადების წინააღმდეგ. მას შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ დამფუძნებელ კრებაში ვინმე ჰბედავდეს ინტერნაციონალის და რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ ლაპარაკს. ორატორი მუქარას უგზავნის ეროვნულ-დემოკრატებს და გამოთქვამს რწმენას, რომ დღეიდან ისინი ვერ გაბედავენ ასეთს გამოსვლებს.

**ი. ბარათაშვილი.** (სოც.-ფედ.) აგრეთვე მეტად უკმაყოფილოა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შესწორებით და სამართლიანად სთვლის საეკლესიო უქმეების შემცირებას, ხოლო ინტერნაციონალის და რევოლიუციის დღეების სავალდებულო უქმეებად დატოვებას.

**ალ. ახათიანი.** (ეროვ.-დემ.) დამფუძნებელი კრების წევრის მგელაძის მუქარებას უთუოდ ადგილი არ

# უკანასკნელი ცნობები

მოკავშირენი კოლჩაკს იარაღით და სურსათით დახმარებას უწევენ.

ორლანდო პარიზიდან რომში გაემგზავრა, იტალიის ახალ პარლამენტის გახსნაზე დასასწრებლად. პარლამენტი ხვალ გაიხსნება.

კოლჩაკსატყობინებენ, რომ როგორც კი რუსეთში წესრიგი დამყარდება, მაშინვე იგი ლიგის წევრად ჩაირიცხება.

ბერლინის მუშათა საბჭომ როზა ლუქსემბურგის დამარხვის დღეს გაფიცვა უარჰყო.

ექნებოდა ამ ტრიბუნაზე, უკეთუ მას ჩემი ნათქვამი სწორედ გაეგო—ისე, როგორც იყო თქმული. მუშათა დღესასწაულების მოსპობას ჩვენ არ ვცდილობთ. ეს დღესასწაულები, რასაკვირველია, დარჩება დემოკრატიულ საქართველოში და ამ დღეებს იდღესასწაულებენ მომავალშიც, როგორც დღესასწაულობდენ აქამდე აქ, თუ სხვა ქვეყნებში. მაგრამ ეს დღეები უნდა იდღესასწაულონ იმათ, ვისაც ის რამეს ეუბნება. ამაში იყო მათი მნიშვნელობა და ასე უნდა დარჩეს თუ გინდათ რომ შეუნახოთ მათ თვისი შინაარსი. რა უფლება გაქვთ თქვენ მოახვიოთ ეს უქმეები ერის იმ ნაწილს, დიდს უმრავლესობას, რომელიც არ იცნობს ამ უქმეებს და რომელსაც ის თავის დღესასწაულად არ მიაჩნია. საერთო ეროვნული უქმი ჩვენ გვაქვს 26 მაისი. ის ყველამ უნდა იუქმოს. ჩვენ უნდა ვარჩევდეთ რა არის საერო, ეროვნული დღესასწაული, თუ დროშა, ჰიმნი და რა არის კლასიური, ჯგუფური დროშა თუ დღესასწაული.

აქ მუქარით იძახოდნენ—როგორ გაბედეს ინტერნაციონალის წინააღმდეგ ლაპარაკიო, ამას დღეიდან აღარ გავაბედვინებთო და სხვ. გარწმუნებთ, რომ რასაც საჭიროდ დავინახავთ ეხლაც ვბედავთ და მომავალშიც გავბედავთ.

მომხსენებელ გ. მახარაძის დასკვნის შემდეგ კრებამ უარჰყო ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შესწორებები და უცვლელად მიიღო კანონ-პროექტი უქმეების შემცირების შესახებ.

ალ. ასათიანის მოხსენებით კრება ამტკიცებს სასინჯაო პალატისა და სასწორ-საწონი პალატის შტატებს.

## მოკავშირენი და ამიერ-კავკასია

უცხო წყაროების მიხედვით ამიერ-კავკასიაში გავლენის სფერო განაწილებულია იტალიასა და ამერიკის შორის. სომხეთი იქნება როგორც ობიექტი ამერიკისა, რომელმაც იქ 5000 კაცი გაჰგზავნა კიდეც.

მათი პირველი ეშელონები სომხეთში უკვე ჩავიდა. სომხურ რკინისგზებმა უპირველესად უნდა გადმოზიდონ ამერიკის პური სომხეთისათვის, იტალიელები, რომელთაც 20 ათასი კაცი გადმოასხეს დამყარდებიან ბათუმ-ბაქოს ხაზზე.

ახალ ვერსიის მიხედვით ინგლისელები სტოვებენ ამიერ-კავკასიას და მთავარ ყურადღებას აქცევენ თურანავლანის ასპარეზს.

## საქართველოს დელეგატების ჩამოსვლა

თანახმად მიღებულ ცნობებისა, მოკლე ხანში პარიზიდან თბილისს ჩამოვლენ ირაკლი წერეთელი და ლამბაშიძე. დელეგატები რამდენიმე დღის შემდეგ უკანვე გაბრუნდებიან.

## ქრონიკა

**მისასალმებელი დეპეშა.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ შემდეგი მისასალმებელი დეპეშა მიიღო: საქართ. ყველა საბაჟოების მუშა მოსამსახურეთა პირველი კონფერენცია წრფელ სალამს უძღვნის საქართ. დემოკრატიულ მთავრობას, იწონებს მის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და უსურვებს მას ენერგიულ ბრძოლას შემოსეულ მტერთა წანაშე. კონფერენცია თავის მხრივ ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამს.

**რევიზია.** გზათა მინისტრის განკარგულებით ამ დღეებში სწარმოებს რევიზია სახელმწიფო ცენტრალურ გარაჟისა

**არნოლის წასვლა.** ამერიკელი კაპიტანი არნოლი, რომელმაც დაარსა ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი ამ დღეებში ამერიკაში წავა.

**აფთიაქის რევიზია.** მთავრობის განკარგულებით რევიზია გაუკეთეს აბრაგსონის აფთიაქს, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული პროვიზორ ანდრონიკაშვილს. რევიზიამ აფთიაქში მრავალი ბოროტმოქმედებანი აღმოაჩინა: რისთვისაც ანდრონიკაშვილი სამართალში მისცეს.

**სწავლის შეწყვეტა.** 15 ივნის შესწყდა სწავლა რესპუბლიკის ყველა უმაღლეს, საშუალო და დაბალ სასწავლებლებში.

**შუამდგომლობა.** განათლების საზოგადოებამ განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ქალთა სამხატვრო სამოხელოსნო სკოლა მიღებულ იქმნას სახელმწიფო სასწავლებლად. სამინისტრომ დადებითი პასუხი გასცა შუამდგომლობას და შაბათს ხსენებულ სკოლაში გამოცდებზე დასასწრებლად გაგზავნა თავისი წარმომადგენელი.

—

### ერობის არჩევნები გორის მაზრაში.

**შულავერის ოლქში.** არჩევნებს აწარმოებდა მხოლოდ 1 პარტია ს. დემოკრატებისა, რომელმაც მიიღო 1972 ხმა.

**ბორჩალოს ოლქში** არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ს. დემოკრატებმა № 1; გუმეტი № 2 და დემოკრატიული პარტია № 3. ამომრჩევლები 6709 კაცი იყო აქედან № 1 180 ხმა, № 2 813, № 3 123.

**ეკატერინენფელდის ოლქში** მონაწილეობას ღებულობდნენ სოც.-დემ. № 1, № 2 ეგრედ წოდებული სოციალისტი-კოლონისტები და № 3 გლეხთა ჯგუფი. ამომრჩევლები იყო სულ 8909 აქედან № 1—1933, № 2—692, № 3—450.

**ბაშკიჩის ოლქში** ამომრჩეველი იყო სულ 5625. აქედან № 1—2948 ხმა.

**თვითმკვლელობა.** 14 ივნისს შუადღის 1 საათზე პეტროვის ქუჩაზე 39 № სახლში მცხოვრებმა ნადეჟ. ბოსენკომ რევოლვერით თავი მოიკლა.

**ქურდობა.** 13 ივნისს ვართანუშ პარუმიანცის ბინიდან (გონჩარ. ქ. № 36) ბოროტ-მოქმედებმა მოიპარეს 10,000 მან სხ. და სხვა ნივთები, მილიციამ დააპატიმრა ნივთების მომპარავი რ. მარკარიანცი, რომელსაც აღმოაჩნდა ყველა მოპარული ნივთები, რომელნიც კუთვნილებისამებრ გადასცეს პატრონს.

### იუსტიციის სამინისტროში

**თანამდებობაზე დაბრუნება.** იუსტიციის კანცელარიის დირექტორი ბატ. გ. ჟორდანია ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

**მუშაობის დრო.** კანცელარიის დირექტორმა ბ-ნ ჟორდანიამ განკარგულება მოახდინა, რომ სამინისტროს ყოველ განყოფილებაში მუშაობა იწყებოდეს დილის სრულ 8 საათზე და თავდებოდეს ნაშუადღევის 2 საათზე.

**დახვრეტა.** 15 ივნისს დილის 3 ნახ. საათზე საგუბერნიო 1 № საპყრობილეს ეზოსთან დახვრიტეს გორის მაზრის მაცხოვრებელნი ი. მ. და ვ. ზ. ნაცვლიშვილები, რომელთაც შატბერაშვილის მკვლელობა ბრალდებოდათ.

**დანიშვნა.** გორის უბნის სასამართლოს გამომძიებლად თელავის უბნის ყოფილი მომრიგებელი მოსამართლე ა. გოგიაშვილი დაინიშნა.

### სამხატვრო ქრონიკა

**სანდრო შანშიაშვილის ახალი პოემა.** სანდრო შანშიაშვილმა დასწერა პოემა თანამედროვე ცხოვრებიდან პოემის პირველი ნაწილი რომელიც შეიცავს ქალალდის სამოც თაბახს. იბეჭდება ჟურნალ „შვიდ მნათობში".

**გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.** რედაქციამ მიიღო გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ტომი.

**სამხატვრო საზოგადოება.** ქუთაისში დაარსდა სამხატვრო საზოგადოება დავით კლდიაშვილის თავმჯდომარეობით.

**„მეოცნებე ნიამორები".** მოკლე ხანს ქ. ქუთაისში გამოვა „მეოცნებე ნიამორები"-ს მესამე წიგნი.

## პროვინციის ცხოვრება

### ქუთაისი.

**სიმინდის შესყიდვის ნებართვა.** მთავრობამ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას ნება დართო ქალაქისთვის სიმინდი ქუთაისის გარეშეც შეიძინოს.

— **ხვირდონ კედიას ლექცია დღეს,** ქალაქის თეატრში სპ. კედია წაიკითხავს ლექციას: „პარიზის კონფერენცია და საქართველო".

### გ. გორი.

გორიდან გაიქცა ორი ოფიცერი—დენდუროვი და მიხაილოვსკი სომხურ სამხედრო სამსახურისა, რომელთაც ბოლო ხანებში ბრალდებათ დენიკინის შპიონობა.

### წალკა.

თიბათვის 15-ს დანიშნულია ბორჩალოს სამაზრო ერობის არჩევნები. წარდგენილია ექვსი სია. ერთ-ერთ სიაში დასახელებულია ცნობილი შავრაზმელი მოკოტონოვი მთელი წალკა მოუთმენლად მოელის დენიკინს.

## ავღანი

ავღანის სატახტო ქალაქში გამოვიდა ახალ ემირის მანიფესტი, ანგენჯი ხანისა რომელშიც იგი მოუწოდებს ხალხს დაწყნარებისკენ და ჰპირდება კანონიერ სამართალს. ჯარმა დადებულებმა ემირს შეჰფიცეს. ახალი ემირი გარშემო იკრებს ინგლისის მოწინააღმდეგე ელემენტებს ინდოეთიდან ლტოლვილებს და ინდოეთის მაჰმადიანობას. მისი პირადი ვეზირი ცნობილი ანდო პროპაგანდისტი პრიოფ. ბარიკატულა ურჩევს ძირეულად შესცვალოს ავღანის მმართვა-გამგეობის ფორმა და კავშირი დაიჭიროს საბჭოთა რუსეთთან.

უკანასკნელ ცნობების მიხედვით ავღანში ამბოხება იზრდება. იმართება სასტიკი შეტაკება ადგილობრივს და ინგლისელთა შორის. ილუპება მთელი პოლკები. ავღანსა და თურანზე ორივე მხარე ძალებს იკრებენ და სიჩქარით ემზადებიან.

## აზერბაიჯანი

**მთავრობის დირექტორიის შემადგენლობა.**

აზერბაიჯანის მთავრობის დირექტორია შემდეგ პირთაგან შესდგება: პრემიერი უსუფბეგოვი, სამხედრო მინისტრი მეხმანდაროვი, საგარეო საქმეთა ჯაფაროვი, გზათა მელიქ ასლანოვი და შრომის მინისტრი საფიქურსკი.

**სომხეთის წარმომადგენლის დარბაზობა.**

სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ბეგზადიანი განკურნების შემდეგ ხელახლად შეუდგა მოვალეობის შესრულებას, 12 თიბათვეს, 1 საათზე ინახულა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და დიდხანს ესაუბრა უკანასკნელ ამბების შესახებ.

**პოლიცმეისტერის დათხოვა.**

ბალახანა-საბუნჩის პოლიცმეისტერი ლიუტენანტი ბეი ამირჯანოვი თანახმად მისი თხოვნისა დაითხოვეს.

**პარლამენტის დელეგაცია ყარაბაღში.**

პარასკევს, თიბათვის 13-ს საგანგებო მატარებლით ყარაბაღში გაემგზავრა პარლამენტის დელეგაცია 4 დეპუტატისგან შემდგარი. ამათგან 2 მაჰმადიანი და 2 სომეხი. დელეგაციასთან ერთად გაემგზავრენ ინგლისელთა სარდლობის წარმომადგენელნიც.

**გაზეთების დევნა მოხალისეთაგან.**

როგორც „აზერბაიჯანი" იტყობინება, პეტროვსკში აუკრძალავთ გაზ. „აზერბაიჯანის", „ზნამია ტრუდა", „ისკრა", „ნაბათი" და დენიკინის წინააღმდეგ განწყობილ გაზეთების გაყიდვა. ამავე ცნობით, გაზ. „ედინაია როსსია" და „ბაკინსკოე სლოვო" არაფითარ შეჯახებას არ ჰპოვებს.

**ათი-ათასი მანეთი ავაზაკის დასაჭერად.**

მაისის დამლევს ბაქოში დაჭერილ იარაღის ბარაჟას მცველად დაუყენეს 1 ცხენოსან პოლკის ჯარისკაცები კორნეტ ჰაჯი-აღა ყასუმოვის მეთაურობით. დაცვის მაგივრად დარაჯებმა გაძარცვეს გემი და თავის ოფიცრის მეთაურობით გაიქცნენ. გზაზე სულ სძარცვავდნენ დამხვედრებს. ამხედრო მინისტრმა კორნეტ ჰაჯი ყასუმოვის დამჭერს ჯილდოდ 10.000 მანეთი აღუთქვა. ყასუმოვი ბორჩალოს მაზრის მცხოვრებია.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**16 თიბათვე.**

### ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი.** ც. ა. კ. ზ. ბ. ბიულეტენი ივნისის 15.

**ლონდონი,** ივნისის 14. დღეს მოკავშირეებმა საბოლოოდ გადასწყვიტეს კოლჩაკის მთავრობას დაეხმარონ იარაღი და სურსათი მიაწოდონ. კოლჩაკის პასუხს ოთხთა საბჭოს თანაგრძნობით შეხვდა, თუმცა კოლჩაკის დახმარების შესახებ ოფიციალურად არაფერია ნათქვამი... (დამახინჯებულია) მოკავშირეთა კოლჩაკისადმი დამოკიდებულების შეცვლა არც ისეთი დიდ მნიშვნელოვანია, როგორც ეს შეიძლება მოეჩვენოს პირველი შეხედვით, რადგან, თუმცა მოკავშირეთა განცხადებას, რომ ისინი კოლჩაკს დაეხმარებიან, საკითხი ოფიციალურ ნიადაგზე გადააქვს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ფაქტიურად ამ მხარეს რამოდენიმე თვის განმავლობაში უკვე უწევდნენ კოლჩაკს ანგარიშს.

**მოსკოვი.** იაპონია ჩქარობს თავის ხვედრი ნაწილი წაიღოს. მოკავშირეთა განცხადება იაპონიისთვის ახალ გამარჯვებას წარმოადგენს, რადგან ტოკიოს მთავრობამ პირველათ აღიარა კოლჩაკი და ციმბირში და მანჯურიაში იაპონიის სხვა და სხვა უფლების აღიარებით ხელ ფეხი შეუკრა კოლჩაკს, მხოლოდ ეხლა ირკვევა, იაპონიის საფრთხე, როდესაც ცნობები მოვიდა, რომ იაპონია აპირებს რუსეთსა და გერმანიას კავშირ შეეკრას რასაც შეუძლია მთელი ქვეყანა საფრთხეში ჩააგდოს. იაპონიის ჩარევის გამო საზავო ხელშეკრულების შეცვლის საკითხი იბადება. პრეზიდენტი ვილსონის შეცვლის საკითხი იბადება სონი პარისკენს და შაბათს ხელშეკრულების ახალ ცვლილებების განხილვას მოანდომებს: დღეიდან იაპონიის წარმომადგენელი ოთხთა საბჭოში მონაწილეობას მიიღებს როგორც თანასწორუფლებიანი წევრი. დღეს საღამოს საზავო კონფერენციის წრეებში დიდი სენსაცია გამოიწვია იმ ნოტამ, რომელსაც ვილსონმა, კლემანსომ და ორლანდომ მოაწერა ხელი. ნოტაში კმაყოფილება გამოთქმული კოლჩაკის წერილით, სადაც ის მოითხოვდა დახმარებას რუსეთის საქმეების მოსაწესრიგებლათ. სენსაცია გამოიწვია უმთავრესად იმან, რომ ამ უკანასკნელ ხანებში საზავო კონფერენციის წრეებში კოლჩაკის მიზნების და მათი ცხოვრებაში გატარების შესაძლებლობის რწმენა სრულიად დაეკარგათ. მის შემდეგ კოლჩაკის უძლიერესმა დამცველებმა, როგორც მაგალითად ლონდონის „ტაიმსმა", გულახდილათ დაიწყეს ლაპარაკი მისი [illegible] მედლობაზე და ფეხი მოიკიდა იმ აზრმა, რომ მოკავშირეები საბოლოოდ უარს განაცხადებენ მას დახმარებაზე. ასეთსავე აზრს გამოთქვამენ თითქმის საფრანგეთის წრეებში. მოკავშირეების დაპირება, მხოლოდ ციმბირის დიდი გზით სამხედრო მასალების და სურსათის შეზიდვით განისაზღვრება, ამავე დროს კი კოლჩაკის მხარეზე მებრძოლ ბრიტანიის და საფრანგეთის ჯარის შევსების შესახებ არაფერს ამბობენ, უკანასკნელი ცნობები ცხადჰყოფენ, რომ ბრიტანიის შეიარაღებული ნავები და მათი სარდლობა მდ. კამაზე გადასვლის დროს უკან დახვდა კოლჩაკის ჯარს ფარავდა; ამ დროს კი ოფიციალურ წრეებში ფრთხილად ლაპარაკობენ დახმარების შედეგებზე და დაბეჯითებით აღნიშნავენ, რომ დახმარება კიდევ არ ნიშნავს კოლჩაკის აღიარების აუცილებლობას, საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა ამნაირად ახასიათებს მოკავშირეების საქციელს და ბოლშევიკების დაცემას, რუსეთში წესრიგის აღდგენას და ყველა იმ მილიარდების დაბრუნებას, რომელიც, ოდესღაც რუსეთს მისცეს, უკვე წინასწარ მიიღოს.

ყოფილი ხუთთა დირექტორიის წევრმა ესერმა ვლადიმერ ზენზინოვმა, რომელიც კოლჩაკმა ჩამოაგდო და რომელიც შეერთებულ შტატებიდან პარიზში მოვიდა და ეხლა რუსეთში მიემგზავრება, მოკავშირეების დეკლარაციის შესახებ შემდეგი სთქვა: „მოკავშირეების მიერ კოლჩაკის აღიარება შეუფერებელ დროს მოხდა, ის მაშინ მოითხოვდა კოლჩაკის აღიარებას, როდესაც კოლჩაკი იმარჯვებდა ეხლა მისი ჯარი რამდენჯერმე ძალიან დამარცხდა. კოლჩაკის პოლიტიკას აწარმოებენ მის ახლო მდგომი პირები, რომელნიც ნამდვილი რეაქციონერები არიან და რომლებზედაც დანდობა სრულიად შეუძლებელია. მე ქაღალდზე ძოცემულ მის დაპირებას დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ. ერთი თვის წინად მდ. ვოლგიდან კოლჩაკი 100 მილზე იმყოფებოდა მაგრამ უკანასკნელ ხანში ის იძულებული შეიქმნა აღმოსავლეთით 150 მილით დაეხია. ამ ჟამად უფა საბჭოთა ჯარმა დაიჭირა.

## ხალხთა ლიგა

**ხელშეკრულება**

უმაღლესი დათათბირებული მხარეები სთვლიან რა, ხალხთა თანამშრომლობისათვის და ზავისა და უზრუნველსაყობად მნიშვნელოვანია:

განსაზღვრული მოვალეობა რომ იკისრონ არ მიჰმართონ ომს.

ხელი შეუწყონ საერთაშორისო არაფარულ ურთიერთობას, რომელიც დამყარებული იქნება სამართლიანობაზე და სინიდისიერებაზე.

აუცილებლად სრულდება საერთაშორისო უფლების ყოველი განკარგულება, რომლებიც ამიერიდან ყველა სახელმწიფოსთვის წესად შეიქმნენება.

გამეფდეს სამართლიანობა და აგრეთვე ორგანიზაციის მქონე ხალხის ხელშეკრულებისადმი პატივის ცემა.

მიიღონ ეს ხელშეკრულება, რომლითაც არსდება ხალხთა ლიგა.

**ლიგის შემადგენლობა.**

**მუხლი I.** ლიგის უპირველეს წევრებად ითვლებიან ის ეროვნებანი რომელთაც ხელი უწერიათ ამ ხელშეკრულებაზე და ამ ხელშეკრულების დამატებაშიაც შეტანილი არიან. გარდა ამისა ის სახელმწიფონი, რომელნიც ორი თვის განმავლობაში შემოიტანენ სეკრეტარიატში წერილობით განცხადებას რომ ხელშეკრულება მთლიანად შეუსწორებლივ მისაღები იქნება მისთვის.

ყოველი სახელმწიფო, სამფლობელო (დომინიონ) ან ახალშენი, რომელიც დამატებაშია მოხსენებული არ არის, შეიძლება გახდეს ლიგის წევრად თუ მას მხარს დაუჭერს ლიგის წევრთა 2/3 ნაწილი. ამ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა სამხედრო და საზღვაო საქმეში ნორმები, რომელსაც მიუსჯის ლიგა.

ლიგის ყოველ წევრს შეუძლია, წინასწარ გაფრთხილების შემდეგ, რომელიც უნდა მოხდეს ორი წლის წინად, გავიდეს ლიგის შემადგენლობიდან, იმ პირობით, რომ მის გასვლის დროს მან უნდა აღასრულოს ყველა საერთაშორისო ვალდებულებანი, აგრეთვე ისინიც, რომელსაც აწერს მას ხელშეკრულება.

**ორგანოები.**

**მუხლი 2.** ლიგის მოქმედება, როგორც ეს განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით, ხორციელდება კრებისა და საბჭოს მიერ, რომლებთანაც არსებობს მუდმივი სამდივნო.

**კ რ ე ბ ა.**

**მუხლი 3.** კრება შესდგება ლიგის წევრთა წარმომადგენლების მიერ.

სხდომები იმართება დანიშნულ დროზე, აგრეთვე ყოველ სხვა დროსაც, თუ კი მდგომარეობა ამას მოითხოვს. იგი იმართება ლიგის რეზიდენციის ადგილზე ან სხვაგან, რომელიც ნაჩვენები იქნება.

კრება განაგებს ყველა იმ კითხვებს, რომელიც შედის ლიგის მოქმედების სფეროში და ეხება მსოფლიოს მშვიდობიანობას.

ყოველი ლიგის წევრს ჰყავს არა უმეტეს სამი წარმომადგენლისა კრებაზე და აქვს ერთი ხმა.

**ს ა ბ ჭ ო.**

**მუხლი მე-4-ე.** საბჭო შესდგება ამერიკას შეერთებულ შტატების. ბრიტანეთის იმპერიის, საფრანგეთის იტალიის და იაპონიის და აგრეთვე ლიგის ოთხ დანარჩენ წევრთა წარმომადგენლებისაგან, ეს ოთხი წევრი ინიშნება კრების მიერ მათ მიერ გადაწყვეტილ ვადამდე. პირველ დანიშვნამდე ლიგის წევრებად ჩაითვლებიან ბელგიის, ბრაზილიის, საბერძნეთისა და ესპანეთის წარმომადგენელნი

კრების უმრავლესობის სურვილით შეიძლება დაინიშნოს ლიგის ახალი წევრნიც, რომელთაც წარმომადგენლობაც საბჭოში სამუდამოდ დარჩება.

ამ რიგადვე საბჭოსაც შეუძლია კრების მიერ საბჭოში წარსადგენ ლიგის წევრთა რიცხვის გადიდება.

საბჭო იკრიბება მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ ყოველ მიზეზ გარეშე წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბოს.

საბჭო განიგებს ლიგის ყველა საქმეებს და მსოფლიოს ზავის საკითხებს.

იმ წევრთ, რომელთაც არა ჰყავთ წარმომადგენელი საბჭოში უფლება აქვთ, როდესაც კერძოდ მათთვის საგულისხმიერო საკითხი ირჩევა გაჰგზავნონ ერთი წარმომადგენელი საბჭოში საბჭოში წარდგენილ ლიგის ყოველი წევრს, მხოლოდ ერთი ხმა აქვს და ჰყავს ერთი წარმომადგენელი.

**პროცედურა**

**მუხლი 5.** დადგენილებანი საბჭომ და კრებამ ერთხმად უნდა გამოიტანოს გამონაკლის შეადგენს ის შემთხვევები, რომელიც ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული.

პროცედურის საკითხები, რომლებიც „საბჭოს" ან „კრების" სხდომაზე აღიძრება (აგრეთვე ეს ეხება გამომძიებელ კომისიებსაც) სწყდება კრების წევრთა ხმის უმეტესობით.

პირველი სხდომა კრებისა ისე საბჭოსი შესდგება ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის მოწვევით.

**სამდივნო (სეკრეტარიატი)**

**მუხლი მე-6-ე.** ლიგის ადგილ-სამყოფელში არსდება მუდმივი სამდივნო. იგი შესდგება მდივანთ უხუცესისაგან და მდივანთაგან, აგრეთვე აუცილებელ დამხმარე პირთაგან.

პირველ მდივანთ უხუცესი მოხსენებულია ამ ხელშეკრულების დამატებაში.

შემდეგში მდივანთ-უხუცესს ჰნიშნავს საბჭო და კრება კი ამტკიცებს.

მდივნები და სამდივნოს პირადი შემადგენლობა ინიშნება მდივანთ-უხუცესის მიერ და საბჭოს თანხმობით.

მდივანთ უხუცესი სამდივნოსი არის იმავე დროს კრებისა და საბჭოს მდივანთ უხუცესად.

სეკრეტარიატის ხარჯებს კისრულობენ ლიგის წევრები იმდენს ყოველი როგორც მსოფლიო პოსტის კავშირის საერთაშორისო ბიურო განაწილებს

**ადგილ სამყოფი და ხელშეუხებლობა.**

**მუხ. 7.** ლიგის ადგილ სამყოფი არის ჟენევა.

კრებას ყოველთვის უფლება აქვს სამყოფი ბინა იცვალოს და სხვა ქალაქში გადაიტანოს.

ყველა თანამდებობანი ლიგაში, ან მასთან დამოკიდებულ საზოგადოებაში თანაბრად მისაწვდომია როგორც კაცთათვის ისე ქალთათვის.

ლიგის წევრთა წარმომადგენლნი ან მისი აგენტები მოვალეობის აღსრულების დროს ხელშეუხებელნი არიან.

აგრეთვე ლიგის დაწესებულებათა ბინაც ხელშეუხებელია.

**შეიარაღების განსაზღვრა.**

**მუხ. 8.** ლიგის წევრებმა უნდა შეამცირონ მანიმუმამდე თავისი შეიარაღებული ძალები, როგორც ამას მოითხოვს მათი სახელმწიფოს მდგომარეობა და რამდენიც საჭირო იქნება საერთო მოქმედების დროს.

საბჭო, შეიარაღების შემცირების გეგმას როცა იმუშავებს, რომელიმე წევრისათვის წარსადგენად, უნდა გაითვალისწინოს ამ წევრ სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობა და სპეციალური პირობები.

ეს გეგმები ხელ ახლად უნდა გადაისინჯოს და საჭიროების მიხედვით შესწორდეს, ათ წელიწადში, ერთხელ მაინც.

ამ გეგმის რომელიმე სახელმწიფოს მიერ განხორციელების დროს, შეიარაღების ზომას ვერავინ ვერ შესცვლის საბჭოს ნება დაურთველად.

რადგან კერძო დამზადება სამხედრო მორთულობისა და იარაღისა იწვევს სერიოზულ წინააღმდეგობას, ლიგის წევრნი აკისრებენ საბჭოს გამოძებნოს არა სასიამოვნო შედეგების ასაცილებელი საშუალებანი, საბჭომ უნდა გაითვალისწინოს ყოველი სახელმწიფო წევრის საჭიროება ამ მხრით და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ზოგიერ მათგანს არ შეუძლია დაამუშაოს იმდენი იარაღი რამდენიც მათ თავდასაცავად სჭირდება.

ლიგის წევრნი მოვალენი არიან მიაწოდონ ერთმანეთს ყოველგვარი ცნობები თავის სახმელო და საზღვაო ძალების გეგმები, და იმ წარმოებათა მდგომარეობანი რომლის გამოყენებაც ომის დროს შესაძლებელია.

**სამხედრო და საზღვაო კომისიები.**

**მუხ. 9.** არსდება მუდმივი კომისია რომელიც საბჭოს მიაწვდის თავის დაკვირვებას. იმის შესახებ თუ როგორ ასრულებენ წევრები 1-სა და მე-3-ე მუხლებს და საერთოდ შეეხება სამხედრო და საზღვაო საკითხების გამუქებას.

(დასასრული იქნება).

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.